საქართველოს კანონი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჰ^{54}“ ქვეპუნქტი:

„ჰ^{54}) სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის სახელმწიფოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაში (კურიკულუმში) შემავალი ქართული ენის სპეციალური კურსი, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზური ენის სპეციალური კურსი.“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^{1} მუხლი:

„მუხლი 4^{1}. სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის სახელმწიფოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული სტუდენტისთვის სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის გავლა სავალდებულოა.“.

3. მე-7 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ^{20}“ ქვეპუნქტი:

„კ^{20}) ამტკიცებს სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის გავლის წესს;“.

მუხლი 2. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ 2025 წლის 1 სექტემბრამდე დაამტკიცოს სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის გავლის წესი.

მუხლი 3. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება იმ პირზე, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 2025 წლის 1 აგვისტომდე ჩაირიცხა.

მუხლი 4

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი და მე-3 მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი და მე-3 მუხლები ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**

თბილისი,

10 ივნისი 2025 წ.

N606-IIმს-XIმპ